



საბანკო ინოვაციების სწავლა და მათი კლასიფიკაცია

რეზიუმე

მოცემული სტატიის ჩარჩოებში საბანკო ინოვაციების ცნებებია განხილული და მოცემული ცნების ავტორისეული განმარტებაა ჩამოყალიბებული. ბანკებში ინოვაციების გამოყენების საჭიროების ძირითადი მიზეზებია გამოვლენილი. ასევე საბანკო ინოვაციების დამატებითი კლასიფიკაცია და მათი მოკლე დახასიათებაა წარმოდგენილი.

საკვანძო სიტყვები: საბანკო ინოვაციები; საბანკო ინოვაციების კლასიფიკაცია.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ საკრედიტო ორგანიზაციები, მოსახლეობის საქმიანი აქტიურობის განვითარების ხელშეწყობი ახალი პროდუქტებისა და მომსახურების მუდმივად მიწოდების გზით, არა მარტო საკუთარი კლიენტების შენარჩუნების შესახებ, არამედ მათი კაპიტალის გაზრდის შესახებაც ზრუნავენ. თანამედროვე პირობებში, სწორედ მრავალი ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ, საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების ევოლუცია მიმდინარეობს.

ბაზარი სულ უფრო და უფრო საკრედიტო ორგანიზაციების მუშაობისადმი ახალ მოთხოვნებს უყენებს და ამით ბანკებს კლიენტის მიერ დაინტერესებული ახალი ოპერაციების ათვისებას აიძულებს. თუმცა, მიუხედავად ამისა, ბანკების ინოვაციური პოლიტიკა რისკების დასაშვებ დონეს და მაქსიმალურ შემოსავლიანობას უნდა მოიცავდეს. ამდენად, სწორედ ინოვაციების შესწავლის საკითხი საკმაოდ აქტუალურად გვესახება.

იმისათვის რომ კლიენტების ნდობა იქნეს მოპოვებული, საკრედიტო ორგანიზაციებისათვის მხოლოდ მომსახურების ტრადიციული სპექტრის მიწოდება არ არის საკმარისი. თანამედროვე პირობებში უკვე მომსახურების ფორმებისა და მეთოდების შეცვლა, სერვისული შესაძლებლობების გაფართოება, კომპლექსური საბანკო სერვისის მიწოდება გახდა აუცილებელი.

თანამედროვე პირობებში წარმატებული საბანკო საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი ფაქ-

ბიორები ტაავა

სტუ-ს პროფესორი, ეკონომიკის
მეცნიერებათა დოქტორი.
E-mail: g.tsaava@banklabonline.com

ანი ბიბილური

სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: anibibiluri@gmail.com

ტორის სახით მუდმივად სიახლეების დანერგვა-დობის პოლიტიკა გამოდის. მოცემული მტკიცებულება დღეისათვის არსებული ეკონომიკის მდგომარეობის მახასიათებელი რიგი წინაპირობებიდან გამომდინარეობს, როგორებიცაა:

უპირველეს ყოვლისა, ბანკების ურთიერთობები კლიენტებთან პარტნიორობის პრინციპებზეა დაფუძნებული. აღნიშნული, კერძოდ ნიშნავს, რომ ბანკები კლიენტებისათვის ახალი მომსახურების შეთავაზებით არა მარტო მათი შენარჩუნების შესახებ, არამედ მათი კაპიტალის გაზრდის შესახებაც მუდმივ ზრუნვას ავლენენ, რომლებიც მთლიანობაში საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გაფართოებას, დანახარჯების შემცირებას, საქმიანი აქტიურობის განვითარებასა და მისი შემოსავლიანობის ამაღლებას უწყობენ ხელს.

მეორე მიზეზი საბანკო მომსახურების ახალი სახეობების გამოჩენასთან მიმართებაში - საბაზრო ურთიერთობების პირობებში საბანკო ინსტიტუტებს შორის კონკურენცია წარმოადგენს. საბაზრო პირობებში გადარჩენისათვის საქმიანი გადაწყვეტილებების მრავალფეროვნება და არასტანდარტულობა, სამეურნეო ოპერაციების არაორდინალურობა, ბანკის საქმიანობის ყველა სფეროებში ინოვაციების დანერგვა არის აუცილებელი.

მესამე მიზეზს - ახალი ძვირადღირებული საბანკო ტექნოლოგიების განვითარება წარმოადგენს. სწორედ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, რომელიც მთელ მსოფლიოში ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორის სახით არის მიჩნეული, სულ უფრო ხშირად დღეს ინოვაციური პროცესის ცნებასთანაა დაკავშირებული.

ამასთან, საბანკო სფეროში სიახლეების დანერგვა თავისთავში არა მარტო ტექნიკურ ან ტექნოლოგიურ დამუშავებებს, არამედ ბიზნესის ახალ ფორმებს, ბაზარზე მუშაობის ახალ მე-



თოდებს, ახალ პროდუქტებსა და მომსახურებას, ახალ ფინანსურ ინსტრუმენტებს მოიცავენ. ისინი უფრო მაღალი ტექნოლოგიური დონით, წინა პერიოდთან შედარებით საქონელისა და მომსახურების უფრო მაღალი სამომხმარებლო ხარისხით ხასიათდებიან. ინოვაციები - ბანკების კონკურენტუნარიანობისა და მათი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენენ. ბანკის მუშაობის ეფექტიანობა და ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობა ახალი საბანკო პროდუქტების, ტექნოლოგიების ან პროცესების დანერგვაზე ბევრადაა დამოკიდებული.

ცნება "ინოვაცია" (ინგლისურიდან "innovation") პირველად კულტუროლოგების სამეცნიერო კვლევებში მე-19-ე საუკუნეში გამოჩნდა. ინოვაციას - კულტურის ახალი ფორმის ადაპტაციის პროცესს ანუ კულტურის ადაპტიურ ნორმას უწოდებდნენ. ტექნიკური სიახლეების შესწავლა მხოლოდ მე-20-ე საუკუნის დასაწყისში დაიწყო (2).

ი.ტ. ბალაბანოვი საკუთარ ნაშრომში "საბანკო ინოვაციის" ცნების განმარტებაში გამოდის იქედან, რომ საბანკო ინოვაცია თავისთავად ფინანსური ინოვაციების (ფინანსურ სფეროში ფუნქციონირებადი ინოვაციების) ნაწილს წარმოადგენს. საბანკო ინოვაცია - ახალი საბანკო პროდუქტის ან ოპერაციის ფორმაში რეალიზებული ბანკის ინოვაციური საქმიანობის საბოლოო შედეგია (1).

ა.ბ. მურავიევას დისერტაციაში საბანკო ინოვაციების შემდეგი სახის განმარტებაა შეთავაზებული: საბანკო ინოვაცია როგორც პრინციპულად ახალი საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების ერთობლიობა - ახალი ტექნოლოგიების სფეროში ბანკის საქმიანობის მიზნისა და შედეგის შესახებ სინთეტიკური ცნებაა, რომელიც კლიენტებისათვის მოგების მიღებაში ხელშემწყობი სიახლეების დანერგვის მეშვეობით, სარესურსო პოტენციალის ფორმირებისა და განთავსების კეთილსასურველი პირობების შექმნის პროცესში დამატებითი მოგების მიღებაზეა მიმართული (7).

საბანკო ინოვაციები - არის კლიენტებამდე დაყვანილი და მათ მიერ ახალი ან კარდინალურად სახეშეცვლილი მომსახურების ან პროდუქტის მიღება, საბანკო პროცესში თანამედროვე, მათ შორის ინფოკომუნიკაციური ტექნოლოგიების დანერგვა, რომლებიც ეკონომიკური ან სოციალური ეფექტის შესწავლის შესაძლებლობას იძლევა (4). ინოვაციებს ბოლო პერიოდში მიაკუთვნებენ ასევე საკრედიტო ორგანიზაციების ორგანიზაციული სტრუქტურების ახალი

ტიპების დამუშავებასა და დანერგვას. თანამედროვე ბანკები ტელეკომუნიკაციური საშუალებების გლობალიზაციის, ბიზნესის სხვადასხვა ფორმების ორგანიზაციის ქსელური ფორმების განვითარების პირობებში ვითარდებიან და აღნიშნულ ფონზე ორგანიზაციის (სტრუქტურის) ახალი ფორმების საკითხს ცენტრალური ადგილი უკავია.

ზემოთჩამოთვლილი და აგრეთვე ლ.ვ. კოხის (6), ბ. სანტოსის (9), მ. ბერეხოვსკაიას (2) ნაშრომების გაანალიზებით საბანკო ინოვაციების მახასიათებელი საერთო ნიშანთვისებების გამოყოფა გახდა შესაძლებელი. უფრო ზუსტად იმის, რომ ყველა ავტორები თანხმდებიან იმაში, რომ საბანკო ინოვაცია - არის პროდუქტი, მომსახურება ან ტექნოლოგია, რომლის დანერგვას საბანკო საქმიანობაში ხარისხობრივი ცვლილებებისაქვს მიყვავართ და, როგორც წესი, ბანკისათვის პირდაპირი ან გაშუალდებული მოგება მოაქვს.

ჩვენი მოსაზრებით, ინოვაციების შესახებ საბანკო სექტორის თავისებურებებისადმი მიმართებაში შეიძლება როგორც საბანკო პროდუქტის ან მომსახურების შექმნის შესახებ ვისაუბროთ, რომელიც ადრე შეთავაზებულებთან მიმართებაში უფრო მიმზიდველ სამომხმარებლო თვისებებს ფლობენ. ინოვაციების ქვეშ შეიძლება ხარისხობრივად ახალი პროდუქტის ან მომსახურების შექმნაც იქნეს გაგებული, რომელსაც მისი პოტენციალური მყიდველის ადრე მოუცავი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ან უფრო თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება შეუძლია.

ა.ბ. ოხლოპკოვას (8), პ. დრუკერის (4), ვ.ს. ვიკულოვას (3) ნაშრომების შესწავლით შეიძლება აღინიშნოს, რომ ტერმინებს "ინოვაციას" და "სიახლეების დანერგვას" მკაფიო განაცალკევება არ გააჩნიათ, უფრო ზუსტად: ინოვაცია - თავისი არსით სიახლის დანერგვის პრაქტიკული გამოყენებაა. ყოველგვარი სიახლის დანერგვა ინოვაციას არ წარმოადგენს, რამდენადაც ინოვაცია უკეთეს მხარეს სრულყოფას ითვალისწინებს. ამასთან ნებისმიერი სიახლის დანერგვაც არ შეიძლება იყოს დადებითი. აქედან გამომდინარე, ინოვაცია წარმოადგენს სიახლის დანერგვის წარმატებულად დანერგვისა და გამოყენების შედეგს.

საკრედიტო ორგანიზაციაში ინოვაციური პოლიტიკის განხორციელება სტიქიურად არ უნდა მიმდინარეობდეს. მხოლოდ ინოვაციების გულმოდგინე შესწავლის პირობებში შეიძლება საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობაში მათი დანერგვისაგან დადებითი ეფექტი იქნეს მიღწეუ-



ცხრილი 1.

საბანკო ინოვაციების კლასიფიკაცია

საკლასიფიკაციო ნიშანთვისება:	დასახელება:	მოკლე დახასიათება:
1. დროითი ასპექტის მიხედვით:	ა) ზეახალები და ახლები; ბ) ოპერატიულები (მიმდინარეები, მოკლევადიანები); გ) პერსპექტიულები (გრძელვადიანები);	ზეახალი ინოვაციები - საბანკო სფეროში პირველად გამოყენებადებია; ახალი ინოვაციები - სხვა ბანკებში ადრე უკვე გამოყენებულები, მაგრამ კონკრეტულ საკრედიტო ორგანიზაციაში პირველად გამოყენებადებია. ოპერატიული ინოვაციები - არჩეული ინოვაციური სტრატეგიის რეალიზაციის კონკრეტული ფორმების შემუშავებაა. პერსპექტიული ინოვაციები - სამომავლოდ კონკრეტული შედეგის მიღებაზე მიმართული.
2. ჩამოყალიბე ბის მიზეზების მიხედვით:	ა) სტრატეგიულები; ბ) რეაქტიულები;	სტრატეგიული ინოვაციები - ძირითადად ინოვაციური გარდაქმნების აუცილებლობის განმტკიცებაზეა მიმართული, მათი ძირითადი მიზანია - პერსპექტივაში გარკვეული კონკრეტული უპირატესობების მიღება. რეაქტიული ინოვაციები - ბანკის მიერ ეგრეთწოდებული დაცვითი სტრატეგიის განხორციელებასთანაა დაკავშირებული, ისინი ბაზარზე საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობის წარმატებულ გაძლოლაზეა მიმართული და ძირითადად ბანკი- კონკურენტის ინოვაციაზე რეაქციას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ბანკი იძულებულია ბაზარზე კონკურენტულ ბრძოლაში საქმიანობის წარმატებულად განხორციელების უზრუნველყოფისათვის ინოვაციური საქმიანობა განახორციელოს.
3. ზემოქმედებ ის მოცულობის მიხედვით:	ა) წერტილოვანები; ბ) სისტემურები;	წერტილოვან ინოვაციებს - მუშაობის ცალკეულ მონაკვეთზე ტექნოლოგიის სრულყოფის კერძო შემთხვევაში აქვთ ადგილი. სისტემური ინოვაციები - საწარმოო ურთიერთობების მთლიანი სტრუქტურის ცვლილებებს განსაზღვრავენ.



4. ბანკში ინოვაციების დანერგვის სფეროებისა გან დამოკიდებულია:	ა) ინფორმაციული რეზი; ბ) პროდუქტიულები; გ) ორგანიზაციულეზი;	ინფორმაციული ინოვაციებს - მიეკუთვნებიან ინოვაციები, რომლებიც ინფორმაციის მიღების, დამუშავების, შენახვისა და გადაცემის თანამედროვე მეთოდების გამოყენებასთან არის დაკავშირებული, როგორებიცაა: ფულადი სახსრების უნაღდო გადარიცხვა, საბანკო პლასტიკური ბარათები, ინტერნეტის ქსელის გამოყენებით მომსახურების მთლიანი სპექტრი და სხვები. პროდუქტიული ინოვაციები - ახალი საბანკო პროდუქტებია, რომლებიც შეიძლება მათი განვითარებისა და ტრანსფორმაციის პერიოდში როგორც ახალ ოპერაციებთან, ასევე ტრადიციულებთანაც იყოს დაკავშირებული. ასე მაგალითად, ტრადიციული მაგნიტური ბარათები „ჩიპებიანამდე“ მუდმივად ევოლუციონირებას განიცდიდნენ. ორგანიზაციულ-ეკონომიკური ინოვაციები - თვით ინოვაციების დანერგვისათვის საჭირო წინაპირობას, აგრეთვე ახალი საბანკო პროდუქტებისა და ტექნოლოგიების სფეროში ინოვაციური პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელების საფუძველს წარმოადგენს.
5. ახალი პროდუქტის მომხმარებლების ქცევაზე ზემოქმედების მიხედვით:	ა) ადაპტიური; ბ) ფუნქციონალური; გ) ფუნდამენტალური ;	ადაპტიური ინოვაცია - პროდუქტში ან მომსახურებაში მათი სასიცოცხლო ციკლის გახანგრძლივებისათვის მინიმალურ ცვლილებას ითვალისწინებს, ამასთან მომხმარებელი საკუთარ ქცევას და უპირატესობას არ იცვლის. ფუნქციონალური ინოვაცია - პროდუქტის ან მომსახურების ფუნქციების შენარჩუნებას ითვალისწინებს და რეალიზაციის ხასიათის ცვლილება არის შესაძლებელი. კლიენტების მოთხოვნების უფრო სრულად დაკმაყოფილებას უწყობს ხელს. ამასთან მომხმარებელი საკუთარ უპირატესობებსა და ჩვევებს იცვლის.



		ფუნდამენტალური ინოვაცია - სრულიად ახალი იდეის, ბიზნეს-კონცეფციის რეალიზაციას ითვალისწინებს, რის შედეგად ახალი, ადრე უცნობი ფუნქციონალური თავისებურებების წარმოშობა ხორციელდება. იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებას უწყობს ხელს, რომლებიც საკმარისი ხარისხით არ იყო დაკმაყოფილებული ან მათი არ არსებობის გამო ადრე არ გამოიყენებოდა. მაგალითის სახით შეიძლება ფორფეიტინგის გამოჩენა მოვიყვანოთ.
6. გამოყენების სფერო:	ა) მმართველობითები; ბ) ორგანიზაციულები; გ) სოციალურები;	მმართველობითები ინოვაციები - ადმინისტრაციული საქმიანობის ეფექტიანობას ამაღლებენ. ორგანიზაციული ინოვაციები - არის ბიზნესის გაძღოლაში ახალი მეთოდის რეალიზაცია, სამუშაო ადგილების ორგანიზაცია ან საგარეო კავშირების ორგანიზაცია. სოციალური ინოვაციები - ადამიანისა და საზოგადოების ჰარმონიულ, დაბალანსებულ განვითარებაზეა დამოკიდებული.
7. სამეცნიერო-კვლევითი დამუშავებების შედეგი:	ა) სამეცნიეროები; ბ) ტექნიკურები; გ) ტექნოლოგიურები; დ) ინფორმაციულები;	მეცნიერული ინოვაცია - არის სამეცნიერო-კვლევითი ან აღმოჩენილი გამოგონების შედეგად საკრედიტო ორგანიზაციაში მუშაობაში პროდუქტის ან მომსახურების დანერგვა. ტექნიკური ინოვაციები - არის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სფეროებისა და ეტაპების მიხედვით ინოვაციის ნაირსახეობა, იგი ჩვეულებრივად ახალი პროდუქტის ან მომსახურების მიწოდების სახით ვლინდება. ტექნოლოგიური ინოვაციები - არის წარმოების პროცესში ახალი იდეებისა და ცოდნის, აღმოჩენების, გამოგონებებისა და სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავებების მატერიალიზაცია. ინფორმაციული ინოვაციები - ინფორმაციული ნაკადების რაციონალიზაციის ორგანიზაციის ამოცანებს წყვეტენ, ინფორმაციის მიღების უტყუარობასა და ოპერატიულობას ამაღლებენ.



8. განხორციელების ტემპები:	ა) სწრაფები; ბ) შენელებულები; გ) ნაზარდები; დ) ჩამქრადები; ე) თანაზომიერები; ვ) ჭეხებადები;	ახასიათებენ იმას, თუ ინოვაციური პროცესები როგორი ტემპებით ინერგება საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობაში.
9. შედეგიანობა :	ა) მაღალი ბ) დაბალი; დ) სტაბილური;	განისაზღვრება საკრედიტო ორგანიზაციაში ინოვაციური პროცესების რეალიზაციის დონე, ანუ ის თუ ცვლილებებმა როგორი შედეგები მოიტანა.
10. ეფექტიანობა :	ა) ეკონომიკური; ბ) სოციალური;	ეკონომიკური ინოვაციები - განისაზღვრება ინოვაციის დანერგვაზე ეკონომიკური შედეგების შეფარდებით დანახარჯებთან. სოციალური ინოვაციები - შეიძლება მიმართული იქნეს შრომის პირობების ცვლილებაზე, კლიენტების მომსახურების ხარისხზე და იგი ყველაზე ხშირად სოციალურ ეფექტს ატარებდეს.
11. შესატანი ცვლილებების სიღრმისეულობის მიხედვით:	ა) რადიკალური (საბაზოები); ბ) გამაუმჯობესლები; გ) მოდიფიცირებული (კერძოები);	რადიკალური ინოვაციები - ახალი ტექნოლოგიების გამოკვლევებზე დაფუძნებული, რომლებიც არსებული პროდუქტებისა და მომსახურების ევოლუციური გაუმჯობესებისაგან ფუნდამენტალურად განსხვავდებიან. გამაუმჯობესებელი ინოვაციები - პროდუქტებისა და მომსახურების ხარისხის ამაღლებას ემსახურებიან, ჩვეულებრივად მცირე და საშუალო ინოვაციების რეალიზებას ახორციელებენ. მოდიფიკაციური ინოვაციები - საკრედიტო ორგანიზაციებში მოძველებული პროდუქტებისა და მომსახურების ნაწილობრივ გაუმჯობესებაზეა მიმართული.

ლი. პირველ რიგში, საკრედიტო ორგანიზაციების პროდუქტებში და მომსახურებაში, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ პროცესებში ინოვაციები და სახეცვლილებები უნდა იქნეს განსხვავებული. საკრედიტო ორგანიზაციებში განხორციელებადი ინოვაციური გარდაქმნების ეფექტიანობის უფრო ზუსტი შეფასების მიცემისათვის ინოვაციების სახეობები მკაფიოდ უნდა იქნეს განცალკავებული. ამისათვის საბანკო ინოვაციების დეტალური კლასიფიკაციის ჩამოყ-

ალიბება მივიჩნიეთ მიზანშეწონილად, რომელიც ისეთი ცნებების განსხვავებისა და განცალკევების შესაძლებლობას იძლევა, როგორებიცაა "ინოვაცია" და "ცვლილებები პროდუქტებში და მომსახურებაში".

თანამედროვე საბანკო საქმეში საბანკო ინოვაციების მრავალფეროვნებას მათი კლასიფიკაცია გამოხატავს (იხ. ცხრილი 1). ქვემოთ ჩვენს მიერ საბანკო ინოვაციების უფრო სრული, გაფართოებული კლასიფიკაციაა მოყვანილი, რომე-



ლიც ა.გ. ოსლოპკოვას (8), ვ.ც. ვიკულოვას (3), ლ.გ. კოხის (5) ნაშრომების საფუძველზეა ჩამოყალიბებული. იგი საკრედიტო ორგანიზაციის პრაქტიკაში ინოვაციური პროცესების უფრო ზუსტად სტრუქტურირების, უფრო მკაფიო გაგების შესაძლებლობას იძლევა იმისა, თუ სწორედ რა ექვემდებარება ცვლილებებს, როგორ ხასიათს ატარებენ ისინი და რაზე ზემოქმედებენ, აგრეთვე როგორი საბოლოო შედეგი იწვება მიღებული. საბანკო ინოვაციების დაწვრილებითი კლასიფიკაცია არის საჭირო, რამდენადაც ინოვაციური პროცესები სტიქიურად არ უნდა მიმდინარეობდეს, კლასიფიკაციის მეშვეობით შეიძლება დასანერგი ცვლილებების ეფექტიანობა უფრო ზუსტად იქნეს გაანგარიშებული, აქედან გამომდინარე კი ისეთი ინოვაციური სტრატეგია შემუშავდეს, რომელიც კონკრეტული საკრედიტო ორგანიზაციისათვის იქნება საჭირო.

გარდა ამისა, ზემოთ მოყვანილი საბანკო ინოვაციების კლასიფიკაცია საკრედიტო ორგანიზაციებში ინოვაციური პროცესების წარმოქმნაში და წარმოშობაში გარკვეული კანონზომიერებების გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა. საქმე იმაშია, რომ ამა თუ იმ ტიპის ინოვაციის სიჭარბე ბანკის ინოვაციური სტრატეგიის ტიპისა და მომართულობის განმსაზღვრელია (ანუ ინოვაციების გარკვეული ტიპების ინოვაციური სტრატეგიის გარკვეულ ტიპებთან "მიბმის" განხორციელება არის შესაძლებელი). თავის მხრივ, საბანკო ინოვაციების ტიპოლოგია შესაბამისი ეკონომიკური და მმართველობითი მექანიზმების კონსტრუირების შესაძლებლობას იძლევა, რამდენადაც ისინი სწორედ დასანერგი ინოვაციებისა და შერჩეული ინოვაციების ტიპით განისაზღვრებიან. ამასთან ნებისმიერი ბანკი საკუთარი ინოვაციური სტრატეგიის განსაზღვრისადმი სისტემური მიდგომის რეალიზაციის პროცესში, თავისი ინოვაციური საქმიანობის ზემოთ მოყვანილი კლასიფიკაციის გათვალისწინებით განხილვისას, ბაზარზე უფრო ზუსტად პოზიციონირების, ბაზარზე საკუთარი დამუშავებებისა და პროდუქტების გატანისა და რეალიზაციის ფორმების განსაზღვრის შესაძლებლობას დებულობს, რომლებიც სხვადასხვა ტიპის ინოვაციებისათვის განსხვავებულია.

საბანკო ინოვაციების კლასიფიკაცია უფრო ვიწროს წარმოადგენს საწარმოო სფეროში ინოვაციებთან შედარებით. რადგანაც მეორე შემთხვევაში იგი მრავალ ფაქტორზე, მაგალითად: დარგობრივ და ორგანიზაციულ-სამართლებრივ სპეციფიკაზე, რეგიონალურ კუთვნილებაზე, საწარმოს სისტემაში ახალი დამუშავების აღ-

ილზე იქნება დამოკიდებული.

საკრედიტო ორგანიზაციის ინოვაციური პოლიტიკისადმი მიმართებაში, შეიძლება ასევე აღინიშნოს, რომ საბანკო სფეროში აბსოლუტურად ახალი პროდუქტის ან მომსახურების შექმნა რთულია, ყელაზე ხშირად, კლიენტის მოთხოვნებიდან და მუდმივად განვითარებადი ბაზრიდან გამომდინარე, ინოვაციის სხვა სფეროდან გადმოღება, ან უკვე არსებული წინადადების მოდერნიზაცია ხორციელდება. გარდა ამისა, საკრედიტო ორგანიზაციები ინოვაციის დანერგვისას კიდევ ერთ პრობლემას აწყდებიან, საქმე იმაშია, რომ საბანკო მომსახურებები შეუძლებელია იქნას დაპანტენტებული, მხოლოდ სავაჭრო მარკის შექმნაა შესაძლებელი. იმასთან დაკავშირებით, რომ საკრედიტო ორგანიზაციის მუშაობაში დანერგილი ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურების სწრაფად კოპირება ხორციელდება კონკურენტების მხრიდან, ამიტომ პროდუქტი ან მომსახურება უკვე ინოვაციურებს და უნიკალურებს არ წარმოადგენენ.

გარდა ყოველივე აღნიშნულისა, საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობაში ინოვაციის დანერგვისას შემთავსებელ ფაქტორს ქვეყნის ეროვნული (ცენტრალური) ბანკის შეზღუდვები წარმოადგენენ, გამომდინარე იქედან, რომ ეს უკანასკნელი ბანკების სტაბილური, მაქსიმალურად უსაფრთხო ფუნქციონირებისაკენ მიისწრაფის. ასევე საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობა კლიენტების (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების) უფლებებს ეხება, რის გამოც ცენტრალური ბანკი მათ დაცვაზე გულმოდგინე კონტროლს ახორციელებს, და როგორც შედეგი საკრედიტო ორგანიზაციის ინოვაციური პოლიტიკა ცენტრალური ბანკის ნორმატიულ მოთხოვნებს სრულად უნდა შეესაბამებოდეს.

საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობაში ინოვაციური პროცესების დანერგვა - საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია. მიუხედავად ამისა, საკრედიტო ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობა მის საქმიანობაში სიახლეების შემოღებაზე ბევრადაა დამოკიდებული, რამდენადაც ისინი კლიენტების მომსახურების ხარისხის დაჩქარებას, გაუმჯობესებას უწყობენ ხელს, ბანკის შიდა მუშაობას აწესრიგებენ.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით შემდეგი სახის მოკლე დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

1. საბანკო ინოვაციების განვითარების ძირითად ტენდენციებს შორის პირველ რიგში აქცენტი ფინანსური პროდუქტების ფასობრივი და



რაოდენობრივი მახასიათებლებიდან უნდა იქნეს გადატანილი სერვისულ და ხარისხობრივ მახასიათებლებზე, ისეთებზე, როგორიცაა კლიენტისადმი ინდივიდუალური მიდგომა, მისი მომსახურების სიჩქარე და ხარისხი.

2. ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება საბანკო ბიზნესისათვის ინოვაციურ გადაწყვეტილებებს ითვალისწინებს,

რომლებიც ფინანსური ორგანიზაციის მუშაობის ეფექტიანობის მნიშვნელოვნად გადიდებისა და კლიენტებისათვის მიწოდებადი მომსახურების ხარისხის ამაღლების შესაძლებლობას იძლევა, რაც გარკვეული სიახლეების შემოღებისა და მიწოდებადი საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების ნაკრების წარმოშობას ასტიმულირებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Балабанов И.Т. - Инновационный менеджмент. - СПб., Москва, Харьков, Минск, 2011. - 303 с.
2. Березовская М. - Инновационный аспект экономического развития // Вопросы экономики. - 2007. - № 3. - С. 58 - 66.
3. Викулов В.С. - Концептуальный подход к разработке инновационной стратегий коммерческого банка // Финансовый менеджмент. - 2010. - № 5. - С. 106.
4. Друкер П. - Бизнес и инновации / Пер. с англ. - Москва: ИД "Вильямс", 2009.
5. Кох Л.В. - Инновации в банковском бизнесе. / Л.В. Кох, Е.Н. Смольянинова, В.С. Просалова. - СПб.:

- Изд-во Политех. ун-та, 2009. - 49 с.
6. Кох Л.В. - Эффективность инновационной деятельности банка: теория и методология. Монография. - СПб.: Изд-во Политех. ун-та, 2008. - С.24.
7. Муравьева А.В. - Банковские инновации: мировой опыт и российская практика: автореферат дис. ...к.э.н. - Москва, 2005. - С. 12.
8. Охлопков А.В. - Инновации в сфере предоставления банковских услуг: автореферат дис. ... к.э.н. - Москва, 2011. - 19 с.
9. Санто Б. - Инновация как средство экономического развития. - Москва: Прогресс, 2010. - С. 95.

ПОНЯТИЕ БАНКОВСКИХ ИННОВАЦИЙ И ИХ КЛАССИФИКАЦИЯ

**ЦААВА ГЕОРГИЙ ФОМИЧ - Профессор ГТУ, ДЭН.
БИБИЛУРИ АНИ ШАЛВОВНА - Докторант ГТУ**

Резюме

1. Среди основных тенденций развития банковских инноваций необходимо в первую очередь отметить смещение акцента с ценовых и количественных характеристик финансовых продуктов на сервисные и качественные характеристики, такие, как индивидуальный подход к клиенту, скорость и качество его обслуживания.
2. Развитие новых информационных технологий предлагает инновационные решения для банковского бизнеса, позволяющие значительно увеличить эффективность работы финансовой организации и повысить качество предоставляемых клиентам услуг, что стимулирует появление определенных нововведений и набор предлагаемых банковских продуктов и услуг.

THE CONCEPT OF BANKING INNOVATIONS AND THEIR CLASSIFICATION

**GEORGE TSAAVA - prof. of GTU
ANI BIBILURI - PhD of GTU**

Summary

1. The main development trends of banking innovation must first be noted offset with price and quantitative characteristics of financial products to service and quality characteristics, such as individual approach to customers, speed and quality of its service.
2. The development of new information technologies offers innovative solutions for the banking business, can significantly increase the efficiency of the financial institution and the quality of its services, which encourages the emergence of specific innovation and a set of banking products and services.

Keywords: Innovations in banks; The classification of innovation in banks.